

8. ჯვარი ვაზისა „ხარება“.
9. ხუსკავძე ლ. შუა საუკუნეების ტი-
ხრული მინანქარი 1984 წ. გვ. 65,
10. შავალათია ს., მთის რაჭა, ობ. 1931
14. რეხვიაშვილი ნ. „ჯარობა სამეგრე-
ლოში“, კრებულიდან „თედო სახოქია“,
1969 წ. გვ. 75.
12. იქვე. გვ. 137.
13. მაჭავარიანი ე. ბავშვის აღზრდას-
თან დაკავშირებული ჩვეულებანი საქ
სახ. მუხ. „მომბე“ ტ. XIV-A და
XXI-B ობ. 1957 წ. გვ. გვ. 251-281.
14. ტეილორი ე. — ანთროპოლოგია.
სანქტ-პეტერბურგი
15. ბარდაველიძე ვ. ხის კულტის ცენტრის
საქართველოში. საქ. მუზეუმის „მომბ-
ე“ ტ. 11, ობ. 1926.
16. ჯავახიშვილი ივ. — ქართველი ერ-
ის ისტორია 1, ობ. 1940 წ.
17. ქართლის ცხოვრება. ვ. ბატონი-
შვილი ტ. 1.
18. სერგა ვ. „ქართლისა“ და „ქართვე-
ლის“ ეტიმოლოგიისათვის საქ. მეც-
აკად. მომბე. 1993 წ. №1.
19. სურგულაძე ი. ქართული ხალხური
ორნამენტის სამბოლიქ. ობ. 1986 წ.
20. ბარდაველიძე ვ. არქივი, მთიულე-
თის ექსპედიციის მასალები. 1945, რვ.
III, გვ. 42.
21. სუმბაძე ლ. ქართული „დარბაზი“,
ობ. 1960. ტაბ. 5, 24, 30, 31, 32.
22. ბარდაველიძე ვ. Древнейшие ре-
лигиозные верования и обрядовое
графическое искусство грузинских
племен. Тб., 1957.
23. მირიანაშვილი ქ. სათვეზაო ხალე-
ების რელიგიური მნიშვნელობა. მასა-
ლები საქ. ეთნოგრაფიისათვის XIXI-
ობ. 1987. გვ. 232-236.
24. რუხაძე ქ. ქართული ხალხური
დღესაწილა. ქვების მეცნარი 1990.
№2 გვ. 35.

ვალერიკო

გარსია

ლორქა

ლალი გადამია

1936 ლლის 19 აგვისტოს, გამ-
თებისას გრენადის მახლობლად, არდა-
ნიარ-ცრემლების წყარისთხოვნის დახვრი-
ტეს XXI ს-ის ესპანელი კულტურის
ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების წარმო-
მადგენელი, უკავშირიკო გარსია ლორქა.
უკავშირიკო გარსია ლორქა იყო პოე-
ტი, დრამატურგი, თეატრალური მოღვა-
წე, მუსიკოსი და მხატვარი. ამასთან,
საოცრად საინტერესო და მომხიბლავე
პიროვნება, რომელიც დღეს ჩვენს ცივ-
სა და გაუცხოებულ სიმყაროში ისე
გვაქისა და გვჭირდება.

ლორქას მეოთხარი, ესპანელი კინო-
რეჟისორი ლუის ბუნები, იხსენებს
„იმ ადამიანებს შორის, ვინც მე ოდეს-
მე შემხვედია, უკავშირიკო პირები ად-
გილზეა. მე ახლა არ ვგედლისხმობ მის
ლექსებს, მის პიესებს, — მე მხედველო-
ბაში მყავს ის თვითონ. არავის არ
ჰქონდა ასეთი მაგიური ძალა. საქმარი-
სი იყო უკავშირიკო შემოსულიყო, რომ-
ალს მიჯდომოდა, დაეკრა შეპენი ინ ეს-
პანური ნანა, საქმარისი იყო რაიმე მო-
უყოლა ან წარმოედგინა სახეებში, რომ

იმ წამში მოგაჯადოებდათ — პირველივე სიტყვით, პირველივე ღიმილით. ხოლო როცა ლექსების კითხვას იწყებდა, აღარ არსებობდა აღარაფერი — თქვენ მისი მოგულელი ტემბრის ტყვე ხდებოდთ. ის თვითონ შედევრი იყო“.

პოეტი ხორხე გილიენი: „უფედოიკო გარსია ლორქა ასაჩქერებდა აღამიანებს სიხარულით ხიცოცხლის სიგარულით. სადა და არტისტული, არაჩეულებრივად მუსიკალური, შესახინავი მიმი, უფედოიკო ნამდვილი დღვასწავლი იყო. მან თითქოს თავის თავში გააქრთიანა ხალხური ნიჭის მოელა შრვალფეროვნება, კველაფერი, რაც მოგვცა არაბულანდალუზიურმა კალტურამ. მე არახოდეს შემდეგ აღარ შემხედრია აღამიანი, რომლის ხელებსაც ახეთი ჯადოქრობა შეძლებოდათ. აღარახოდეს მყოლია ძმა, უფედოიკო მხიარული. ის იციოდა, მღეროდა, უკრავდა, გაუთავებდად რაღაცას იგონებდა, — მოლიანად ასხივებდა“.

ლორქა დაიბადა 1898 წლის 5 ივნისს ანდალუზიაში, გრანადის მახლობლად. ულამაზეს სოფელ ჯუნტე-ვაკეროსშია, მდიდარი მუსიკალური ტრადიციებას ოჯახში. დედა — მუსიკის მასწავლებელი იყო, მამა შესანიშნავად მღეროდა, ბიძა — იმ მხარეში განთქმული ხუგლარი (მომღერალი — მთხრობელი). ბავშვობა გაატარა გრანადაში — უძველეს ესპანერ ქალაქში, სადაც ერთმანეთს ერწყმის მავრიტანული და ანდალუზიური კალტურები, სადაც ერთმანეთის გვერდით არის აღიამბრა — კარლოს V-ის სასახლე და ხენერალიფე-მავრიტანელ შეფეთა საჩაუჩულო რეზიდენცია, საკრო-მონტეს იდუმალებით მოცელი მთა, რომლის გამოქვაბულებში ბოშები ცხოვრობენ, და ბიბარამბლის მოედანი, სადაც ოდესალაც მავრები აჩვენებდნენ საბრძოლო ხელოვნებას შემდეგში კი ესპანელები აწყობდნენ რაინდთა ტურნირებს.

ლორქა იზრდებოდა ხალხური სიმღერების და მუსიკის გარემოცვაში. მას საოცარი მუსიკალური ნიჭი პეტონდა, ენის ადგმამღე სიმღერა დაიწყო. ერთ-

ხელ მოსმენილ მელოდიას მახოუტურებად ზუსტად იმეორებდა. ჰაკვშეგობრი: უფედო წარმოგვენების დამდგრა, ხასტა უკელა მოქმედ პირს თვითონ განასახიერებდა. არაჩეულებრივი იმიტაციის უნარი პეტონდა, უყვარდა კარნავალების მოწყობა, კოსტუმირებული თამაშობები. დედას თხოვდა შეეკერა მისთვის პაკეროს კოსტუმი (მის გრაფიკულ ნახტებში პიროვნულობის ავტოპორტრეტია). მისი პირველი გატაცება (თუმცა ეს ბევრად მეტი იყო, ვიღრე გატაცება შეიძლება დაერქვას), მუსიკა იყო. მუსიკას ასწავლიდა კომპოზიტორი და პიანისტი, ვერდის მოწაფე, ანტონიო სეგურა. ლორქა არაჩეულებრივად უკრავდა ფორტეპიანოზე, ვიტარაზე მღეროდა. მას ხშირად იწვევდნენ გრანადის ლიტერატურულ-მუსიკალურ ცენტრში, როგორც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილ მუსიკოსს. მის რეპერტურში იყო ბაზის, ბეთჰოვენის, მოცარტის, შოპენის, შუმანის, და ფალიას ნანწარმოებები. მას გარდა, შეეძლო იმპროვიზაციების გაკეთება შეპენის, დებიუსის, სკარლატის სტილში. ამავე ლიტერატურულ-მუსიკალურ ცენტრში გამოდიოდა ხოლმე, როგორც აკომპანიატორი — პიანისტი და ვიტარასტი-მოცეკვავე და მომღერალ ქალთანენკარნასონ ლოპეგესთან — და არხენტინიტასთან ერთად.

კომპოზიტორი მანუელ დე ფალია მბიბდა: „მე ვისურვებდი ისეთივე ოსტატობით დამეტერა ლექსები, როგორც უელტერიკო უკრავს როიალზე“. ლორქა აკროვებდა ხალხურ სიმღერებს, მუშაობდა ესპანერი მუსიკალური ფოლკლორის შედეგნაზე. თეითონ მშვენიერად ასრულებდა ხალხურ სამღერებს, ამუშავებდა მათ ფორტეპიანოსა და ვოკალისათვის. „სისხლიანი ქოწილისათვის“ მან სპეციალურად დაწერა რამღერის მუსიკალური ნაწარმოები.

ლორქამ განათლება მიიღო სამ უნივერსიტეტში: გრანადის, მადრიდის და ნიუ-იორკის უნივერსიტეტებში. გრანადის უნივერსიტეტში ის სწავლობდა ლიტერატურის, ფილოსოფიის და სა-



მართალმცოდნეობის უაკულტეტებზე-
(დონ ფუღურიკოს — მამამისს არც მუსიკა
და არც ლიტერატურა არ მიაჩნდა
სერიოზულ ხატმიანობად და ვაჟიშვი-
ლის ადვოკატობა სურდა).

საღმოობით, გრანადის ერთ-ერთ
მფუძლო კაფე „ალამედაში“ იყრიბე-
ბოდნენ ლორქას მეგობრები: მხატ-
ვრები — ისმაელ და ლა სერრანა, პა-
კასოს მოწაფე მანუელ ანხელეს ორ-
ტისი, პოეტი მიგელ პისსარო, ისტო-
რიკოსი და ლინგვისტი მელჩიორ ფერ-
ნანდეს აღმაგრო, უურნალ „ანდალუსია
1915“-ის რედაქტორი ხოსე მორა გუ-
არნიდო, მოქანდაკე ხუან კრისტონალი.
ისინი კითხულობდნენ ლექსებს, მსჯე-
ლობდნენ და კამათობდნენ ლიტერატუ-
რაზე, ხელოვნებაზე. მათ ხავარელ სა-
ქმიანობად იქცა კოლექტიური პარო-
დიების წერა რომელიმე პაროდია
„კაპედეპონის“ ფსევდონიმით ხუმრიმით
გაგზავნეს გრანადის ტრადიციულ-ლი-
ტერატურულ კონკურსზე და ის პრემი-
რებულიც კი იქნა.

სწორედ აქ, კაფე „ალამედაში“ წაი-
კითხა ლორქამ თავისი პირველი ლექ-
სები, რომლებიც მის მეგობრებს ძალა-
ან მოეწონათ. ამ პერიოდშივე, 1918
წელს, გამოიდის მისი პირველი წიგნი
„შთაბეჭდილებები და პეიზაჟები“ —
ანდალუზიასა და კასტილიაში მოგზა-
ურობის ჩანაწერები. 1921 წელს გამო-
იცა ლორქას პირველი პოეტური კრე-
ბულიც, სახელწოდებით „ლექსების წი-
გნი“, თუმცა ის დიდი ხნით ადრე იყო
დაწერილი. ლორქას უფარდა თავისი
ლექსების კითხვა ახლობლებისა და მე-
გობრებისათვის, მაგრამ დიდხანს თავს
იყავებდა გამოცემაზე, მათ დამოუკიდე-
ბელ არსებობაზე. „რა თქმა უნდა, წე-
რა ჩემთვის ნეტარებაა, წერა, მაგრამ
არა გამოცემა. არა, ყველაფერი, რაც
გამოცემულია პირდაპირ ხელიდან გა-
მომგლივეს მეგობრებმა და გამომცემ-
ლებმა. მიყვარს ჩემი ლექსების კითხვა,
დაბეჭდვისა კი მეშინია“ — წერდა ის.
დაბეჭდილი სიტყვა უცხო და დაუცვე-

ლი ეჩვენებოდა, თითქოს უსიცოცხალის უკანა-
„მიტომ ვკითხულობ, რომ დავიცვა—
უხსინიდა ის მეგობრებს.

„ლექსების წიგნი“ ლორქას გველაზე
დიდი კრებულია. მასში იგრძნობა ხი-
მენებისა და ანტიოკი მაჩალოს, ზოგან-
დარიოს გავლენა. ამ კრებულში ლორქა
სხვადასხვა ჟანრში ცდის თავის ძა-
ლებს (ელეგია, ბალადა, მაღრიგალი),
არჩევს სხვადასხვანაირ რიტმს, მოთ-
ხრობითი ლექსიდან გადადის იმპრე-
სიონისტულ ჩანახატებზე, მათგან რი-
მანსზე, რეფრენით თანხმლებ სტრი-
ფებზე და ისეთი შთაბეჭდილება რჩება,
თითქოს თვითონაც აოცებს, რაც შეუძ-
ლია.

ოცი წლის ლორქა გაემგზავრა სწავ-
ლის გასაგრძელებლად მაღრიდში, სტუ-
დენტურ რეზიდენციაში — თავისუფალ
უნივერსიტეტში, რომლის დირექტორი
და დამარსებელი იყო ალბერტო ხი-
მენები — ხუან რამონ ხიმენესის მეგო-
ბარი. მასთან ერთად ამავე უნივერსი-
ტეტში სწავლობდა ლუის ბუნელი, რო-
მელმაც ჯერ ენტომოლოგიის შესწავლა
დაწყო, შემდეგ ინჟინიორია გადაწყვიტა,
ბოლოს კი კველაფერს თავი დასხება და
კინემატოგრაფიამ გაიტაცა. ლორქა და
ბუნელი დამეგობრდნენ.

სერიოდ, ლორქას საიცარი ხიბლი
ჰქონდა. ის თითქოს იზიდავდა ადმია-
ნებს. სადაც კი გამოჩნდებოდა, მაშინ-
აც ურაღდებას ცენტრში ექცეოდა. მას
თხოვდნენ დაეკრა, ემლერა, წაეკითხა
ლექსები. ისიც ყოველთვის დაუცვენე-
ბდივ და ხალისით ასრულებდა თხოვ-
ნას. მისი ლექსები სტუდენტებმა ზეპი-
რად იცოდნენ.

მაღრიდში ჩასვლისას ლორქამ გაიც-
ნო თეატრ „ესლავას“ დირექტორი,
დრამატურგი გრეგორიო მარტინეს სი-
ერრა, რომელმაც პირდაპირ აიძულა
ლორქა, რომ ერთ-ერთი ლექსი „ლო-
კოგინას მოგზაურობა“ გადაეკეთებინა
პიესად, რომელსაც უწოდა „პეტელას
ჯაღიერობა“. ეს სპექტაკლი დაიდგა
1921 წ. თეატრ „ესლავაში“, და შედგა
ლორქას დებიუტი, როგორც დრამა-
ტურგისა. მართალია, სპექტაკლი ჩავ-



არდა, მაგრამ უკვე მასში ითქვა ის, რაც შემდგომ ლორქას ყველა დრომაში შეორდება:

„სიკავღილზე აღიმონი სიყვარულია“

ლორქას შემდგა კრებულებში – „კანტე ხონდოსა“ და „სიმღერების“ კრებულებში მისი პირველი თავისუფლდება გავლენისაგან, მაგრამ მასში რჩება და ღრმავდება კავშირი ფრილერორთან – ანდაღუ ზიურ კანტე ხონდოსთან, შუა საუკუნეების გალისიურ ლირიკასა და რომანებთან. ლორქა არასდროს არ მიმართავს ფრილერორის იმიტაციას. ხალხურ სიმღერებს იგი იყენებს მხოლოდ დრამატურგიაში, სადაც ისინი წარსდგება მაგურებლის წინაშე მხედველობით და სმენითი აღქმის მთლიანობაში. ლექსებში ის იყენებს სიმღერაში დამალულ ფარულ იზრს, „არა ფორმას, არამედ ფორმის ნერს“. (ფ.გ. ლორქა).

„კანტე ხონდოს“ ციკლის შექმნის სტიმული გახდა კანტე ხონდოს ფესტივალი. კონკურსი, რომელიც ჩატარდა გრანადაში 1922 წელს. ამ ფესტივალის ინიციატორები და ორგანიზატორები იყვნენ კომპოზიტორი მანუელ დე ფარლა და თვითონ ლორქა. ფესტივალის ორგანიზაციის მთელი სიმძიმე ლორქამ იტკირთა: მან მოიარა ესპანეთის ყველა კუთხე, მონახა კანტე ხონდოს შემსრულებლები და ჩააყვანა ისინი გრანადაში. ფესტივალის მიზანი იყო უძველესი ანდაღუ ზიური სასიმღერო ფრილერორის აღორძინება, რომლისთვის დამახასიათებელია შესრულების განსაკუთრებული და კუთხის მიმდევა – „დრმა“ ხოლო სიმღერა. (jondo – ანდაღ. – hondo – დრმა). ამასთან დაკავშირებით ლორქამ გრანადის ხელოვნების ცენტრში „თექნიაში“ წაიკითხა ლექცია კანტე ხონდეზე.

„არსებითი სხვაობა კანტე ხონდოსა და უღამენებოს შორის ისაა, რომ პირველის უფსევები უნდა ვეძებოთ ინდოეთის პირველფოფილ მუსიკალურ სისტე-

მებში, ანუ სიმღერის პირველ გამოწეულინებაში. მაშინ, როცა მეორე პირველის შემდგომი განვითარება და შეძლება ითქვას, რომ დასრულებული სახე მან XVII საუკუნეში მიიღო.

კანტე ხონდო, უახლოვდება რა ინდოეთის პირველფოფილ მუსიკალურ სისტემებს, არის ერთგვარი ბუტბუტი, ხმის ნაკადი – ხან მაღალი, ხან დაბალი: ესაა ხმის მშევნეირი რხევა, რომელიც სცილდება ბეგრათა ჩვენთვის ჩვეული გამის შეზღუდულ საზღვრებს. კანტე ხონდო უახლოვდება ურინველის ჭიჭიკის, მამლის ყივილს, ტყის და წყაროს ბუნებრივ მუსიკას.

ამიტომ იგი პირველფოფილი მუსიკის უიშვიათესი, მთელ ევროპაში უძველესი ნიმუშია, რომლის პანგბაშიც აღმოსავლეთის პირველფოფილი რასების შიშველი და მთრთოლვარე გრძნობაა შემონახული“. (თარგმნა ტ. ხუნწარიამ).

როგორც უკვე ავღნიშნეთ, კანტე ხონდო ეწოდება უძველესი ანდაღუ ზიური სიმღერების ჯვალს ესენია: ბოშურა სიგირია, კანიას, კარსელერა, მარტინეტე, პლაირას, პოლო, სოლეა. ლორქა საზღვრავს კანტე ხონდოს და კანტე ფლამენკო (მაღაგნია, რონდენია, გრანადინა, პეტენრა) უფრო მხებუქ ფანრს, – კანტე ლივანოს მიეკუთვნება.

კანტე ხონდოს აუცილებლად წარმოშობს და თას ახლავს სულიერი ტკიფილი, მწეხარება და სამყაროს ჭერტა, მიმართული სიკვდილთან. ეს თავისებური სიმღერა – ღვთისმასხურებაა. მას ასრულებს მომღერალი (კანტაორ) გატარისტის (ტოკაორ) თანხლებით.

ლორქას „კანტე ხონდოს“ დექსება არის არა კანტეს მიბაძვა, არამედ მის შესრულების ატმოსფეროს შექმნა და სიტყვიერი, პოეტური ხერხებით გაღმოცემა მისი ხასიათისა. ყველაფერი, რითიც იქმნება კანტე, მის ლექსებში გარდაიქმნება სიტყვად.

მაგ. „პოემა ბოშურ სიგირიაზე“ შედგება რამდენიმე ლექსისაგან, რომელთაგან თითოეული, ცალკეული, შეესაბა-



ჰება იმ მომენტებს, იმ ნაწილებს, რომ-დებიც ქმნის ერთიან სიმღერას; სიგირია სრულდება აუცილებლად დამე (მისი აუცილებელი ატრიბუტია დამის ჟეზაუი, სადაც სიგირიას რიტუალი სრულდება), შემდეგ ტოკაორი იწყებს დაკვრას, მას მოსდევს კანტაორის ამოძახილი, რითაც იწყება სიმღერა, შემდეგ პაუზა, მერე მოდის „სიგირიას“ ძირითადი ნაწილი, მერე სიმღერის გამოძახილი და კველაფრის დამასრულებელი აქტი სულიერი განწმენდისა—შერიცება გარდაუვალთან.

„პოემა ბოშურ სიგირიაზე“ იწყება: ლექსით „პეიზაჟი“, შემდეგი ლექსია „გიტარა“, მას მოსდევს „ცვარილი“, შემდეგ — „მდუშარება“, შემდეგი ლექსია „სვლა სიგირიას“, მერე „შემდგომად სვლისა“, და პოემას ასრულებს ლექსი „და შემდეგ“.

ამ ციკლის დანარჩენი პოემებიც, იქნება ეს „პოემა სოლეაზე“, „პოემა საეტაზე“ თუ „აეტენერას სილეაზი“ — ამგვარადვე აწყობილი.

„კანტე ხონდოს“ ლექსების ციკლზე მუშაობის პარალელურად ლორკა მუშაობს ციესაზე „მარიანა პინედა“ და გრანადაში ერთ-ერთი ჩასვლისას აარსებს თოჯინების თეატრს, სადაც ბავშვებისათვის დგამს წარმოიდევენდს. ამ დროისათვის მაღრიდში, ნატიფი ხელოვნების აკადემიაში სახწავლებლად, კატალინიდან ჩადის სალვადორ დალი. ლორკა მათ შეხვედრას ასე იხსენებს: ერთ დღეს, სტუდენტურ რეზიდენციაში შესვლისას მან დაინახა უცნაური წყვილი: ტიპიური პროენციელი ბურეულა (ის აღმოჩნდა დალის მამა-კატალინელი ნოტარიუსი) და მისი თანმხლები, გამჭდარი და გამჭოლთვალებიანი, გრძელობმანი ახალგაზრდა, რომელსაც უზარმაზარი ბერეტი ეხურა და ფართო მოსასხამში იყო გახვეული. როგორც ეტყობოდა, მის წარმოიდევენაში მხატვარი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო. თავდაპირეველად დალი განმარტობული იყო და არავისთან კონტაქტში არ შედიოდა. მხოლოდ დადიოთა ხმები მის საოცარ ნიჭი, რომლის

წყალობითაც ჩაირიცხა აკადემიაში და უკანასკნელი მცირებული იყო. ჰყებოდნენ აგრეთვე, რომ ღონ აღბერტო ხიმენეს დიდი ძალის ხმევა დასჭირდა, რათა დალი თმის შეჭრასა და ჩიტულობის შეცვლაზე დაეთანხმებინა. დალიმ და ლორკამ ერთმანეთი ურუგვა-ელი მხატვრის, ბარრადასის გამოფენაზე გაიცნეს. დალი არ ჰყავდა ლორკას არც ერთ მეგობარს. მასში კველაფრი უჩევეულო და საიდუმლოებებით აღხავს იყო, ღამუებული გვარით (როგორც თვითონ ირწმუნებოდა, მისი გვარი აღვირებოდა მეკობრე — დალი — მამისაგან მომდინარეობდა). რომელსაც, თურმე თვით სერვანტებიც კი ჰყოლია ტყველ აყვანილი).

დალის უზომო პატივმოვარეობა ჰქონდა, რომელიც, როგორც თვითონ აღნიშნავდა, მისი მთვარი მმომირავებელი ძალა იყო. „ექვსი წლისა ვონებობდი მხარეული გავმხდარიყვით, შვიდისა — ნაბოლეონი. მას შემდეგ ჩემი პატივმოვარეობა უფრო და უფრო მატულობს“ — ამბობდა ის.

დალის ჭეშმარიტად სატანას ფანტაზია და ასეთივე შრომის უნარი ჰქონდა. შეეძლო დამდენიმე დღე-ღმის განმავლობაში, თავის ოთახში ჩაკრიბის, ემუშავა. მის თოახში შესვლისას ლორკა ფეხის დასადგმელ აღვილსაც ვერ პოულობდა — კედლები და იატაკი მთლიანად ესკიზებით და ჩანახატებით იყო დაფარული. ლორკა და დალი განუყრელად ერთად იყვნენ; ისინი, ასეთი საპირისისარო, განსხვავებული ერთმანეთისაგან, თითქოს ავსებდნენ ერთმანეთს. დალი — გამომწვევი, პატივმოვარი, ამბიციური, ლორკა — სრულიად მოკლებული ამბიციურობას, თვალდაბალი, უფრო მორცვი, აბსოლუტურად არაყოფითი. მას კველაფერი მოსწონდა დალის — აღფრთოვანებული იყო მისი მხატვრობით, მოსწონდა მისი ქცევა, მანერები, მოსწონდა, როგორ უსმენდა ის მის ლექსებს, კველაფერში ეთანხმე-



ბოდა მას. ოდაც კი უძღვნა — „ოდა სალვადორ დალის“.

სწორედ დალის მეშევობით გაიცნო ლორქამ ცნობილი კატალონელი მსახიობი მარგარიტა კსირგუ, რომელმაც სურვილი გამოიტევა დაედგა „მარიანა პინედა“. ამ სპექტაკლისათვის დეკორაციები სალვადორ დალიმ გააკეთა.

როცა ბარსელონაში სებასტიან გაშმალორქას გრაფიკული ნახატების გამოფენის მოწყობა შესთავაზა, ის ძლიან დაიბნა, რადგან მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ხატავდა და ვერ წარმოედგინა, თუ ვინმეს მისი ნახატები დააინტერესებდა. კველაზე მეტად ერთი რამ აღლვებდა — რას იტყოდა დალი. დალი დათანხმდა და „მარიანა პინედას“ პრემიერის მეორე დღეს მოეწყო დორც, კას გრაფიკული ნახატების გამოფენაც.

„მარიანა პინედას“ დიდი წარმატება ხვდა. მარგარიტა კსირგუს დასმა დადგა ასევე ლორქას პიესები „იერმა“, „მშვენიერი მეწარე“, „დონია როსატა ქალწული“, ანუ კვავილთა ენა“. მაღრიდის, ბარსელონას, მაღავის თეატრების სცენაზე გამოდის „სისხლიანი ქორწილი“, „დონ პერლიმპლინის სიყვარული“, „დინ კრისტობალის ბალაგანი“, ლორქას პიესები ითარგმნება იტალიურად და ინგლისურად.

მისი მეგობარი ლეონ ფერლიე იხსენებს: თეატრ „ავენიდადან“ გამოსულები აფიშასთან შეჩერდნენ. ლორქა ამბობს: „ხედავთ? თქვენ წარმოიდგინეთ, რა სირცხვილია, როცა შენი სახელი აი ასე, უზარმაზარი ასოებით გამოკრულია კველას დისანახად, თიქოს შიშველი ვდგავარ და ხალხი მოთვალიერებს. ჩემი სახელის ისე საქვეყნოდ გამოფენა — ჩემთვის მძიმე განცდაა. მაგრამ იძულებული ვარ — თეატრში სხვაგვარად არ შეიძლება.“

ლორქა გამოსცემს ლიტერატურულ — მხატვრულ შურნალს „გალიო“ ახალგაზრდა ლიტერატორებთან ერთად, ამთავრებს პიესებს „როცა გავა ხუთი წელი“, „ბერნარდა აღბას სახლი“, აფალიბებს საუნივერსიტეტო თეატრს „ლაბარრაკა“ (ბალაგანი), რომელიც მოელს

ესპანეთში, კველაზე მორუქა ფრანსის გარდნილ სოფლებშიც კი აჩვენებს ლონჟე დე ვეგას, სერვანტეს, კალდერონს. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთ ინტერვიუში ლორქა ამბობს:

„ჩვენს თეატრს სერიოზული ჩანაფიქრი აქვთ. ჩვენ გვინდა მივმართოთ ესპანელი ხალხის კველაზე ფართო უნებს, — თეატრი ხომ სახალხო განათლების ერთ-ერთი კველაზე ძლიერი საშუალებაა. სწორედ ასეთი მოხეტიალე თეატრი, როგორც ჩვენ ჩავითაქრეთ, ჯერ კიდევ ლოპე დე რუედას დროს, მოგზაურობდა სოფლიდან სიცელში, აჩვენებდა იმ ცნობილ პიესებს, რომლებიც აღტაცებას იწევედნენ ესპანეთის საზღვრებს მიღმაც, ჩვენში კი ახლა მოტიანად დავიწყებულია.

თეატრი, რომელიც ხალხის ყოფილი ნაწილი უნდა იყოს, კველგან ჩვენს ქეყანაში, გაძრა დედაქალაქისა, მევდარია. და ხალხი იტანჯება ამის გამო, როგორც დაიტნებულოდა, რომ არ პქონიდა მხედველობა, ყინოსვა, სმენა ან შერჩნიობელობა. ჩვენ გვინდა დაეუბრუნოთ ხალხს მისი საკუთრება — თეატრი — ისეთი, როგორიც იყო იდესლაციკვინდა დავუბრუნოთ პიესები, რომლებიც მას უყვარს“.

გამოქვენდა კრებულები „სიმღერბი“, „ბოშური რომანსები“, რომელსაც საოცარი წარმატება ხვდა. სხვადასხვა მიმართულების კრიტიკოსები ერთსულოვნად აღფრთოვანებულები არიან „ბოშური რომანსეროს“ ციკლით, აღნიშვნენ, რომ მისმა აეტორობა ააღორმინა ესპანური პოეზიის დიდებული ხალხური ტრადიციები, აბალი პოეტური ქლერადობა შესძინა მას. სტუდენტურ თავირილობებზე კითხულობენ „რომანს სამოქალაქო გვარდიაზე“, ფილოლოგებმა ლორქას პოტიკური ენის შესწავლა დაიწყეს; ხალხი, რომელიც საერთოდ ლექსებს არ კითხულობდა და არც პქონდა საშუალება წიგნების ყიდვისა. იწერს მის ლექსებს, ლორქას გმირები ანტონიო კამბორიო და სოლ-



ედად მონტოია ხალხური სიმღერების კველაზე პოპულარულ გმირებს უტოლდება და მათი ატორი ტორეროსავით სახელგანთქმული ხდება.

ერთ-ერთ ინტერვიუში ლორქა ამბობს „მე რომ უცრად მეგობრებმა მიმატოონ, ან ვიგრძნო, რომ შურთ ჩემი, ან ვძულვარ, — არ ვისწრაფე იდი წარმატებისაკენ. თითსაც კი არ გვანძრებდი. წარმატება ჩემთვის ძალიან ცოტას ნიშნავს, და თუ ნიშნავს, ისიც იმიტომ, რომ არიან მეგობრები, რომლებისთვისაც ეს სულ ერთი არ არის. ჩემს მაღრიდელ მეგობრებსაც, აქაურებსაც გულს დაწყვეტდა ჩემი ჰიენი ჩავარდნა. მეც დავიტანჯებოდი იმის გაშორი, რომ ისინი განიცდიან — და არა ჩავარდნის გამო. ეს ჩემი მოვალეობაა ჩემი მეგობრების წინაშე — მოვაკადოვ მაყურებელი. მე უბრალოდ, სხვა გზა არ მაქვს — ისინი ხომ წმენას დაკარგვენ ჩემში, აღარ კეყვარება“.

ლორქას ახლობლები იხსენები, რომ მას ბავშვობაში ბევრი რამის ეშინოდა და ეს ბავშვური შიში ბოლომდე გაჰყდა. მაგ. ეშინოდა ცხენების — ახლოსაც კერ ეკარებოდა, ავადმყოფების, სიმაღლის, მოხუცების, შევი ტანსაცმლის (სიკვდილთან სიახლოვე იგრძნობათ), ახალი ფეხსაცმელების (ცხეც სიკვდილის შიში — მიცვალებულებს აცვიათო ახალი ფეხსაცმელები). მიუხედავად დიდი სიკვარულისა, ეშინოდა ზღვის-დღლი იხსენები, რომ მასთან, კადაკეში სტუმრობისას, ნავში ჩაჯდომისაც კი ეშინოდა და ცურვაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ზღვში ხელჩაკიდებულს თუ ჩაიყვანდი. როდესაც ლექციები გამოიიდა, აუცილებლად თან უნდა პქონოდა ხელნაწერი ტექსტი, თუმცა, როცა კითხვას იწყებდა, მას არ იშველიებდა და ხშირად გადაუხევდა კიდეც ტექსტიდან. „ლა ბარაკას“ მსახიობები

იხსენებენ, რომ ყოველთვის, სპექტაკულის დაწყებამდე, ლორქა მიმართავდა მაყურებელს. ორჯერ მოხდა, რომ დაკარგა ეს ტექსტი და მართლაც ხმა ვერ ამოიღო, იმდენად დათრგუნა შიშმა.

რამდენად მძიმე იქნებოდა მისი ახლობლებისათვის — ოჯახის წევრებისა და მეგობრებისათვის იმაზე ფიქრი, რას განიცდიდა ის სიკვდილის წინა დამეს და იმ საბედისწერო განთიადს, დასახვრეტად რომ წაიყვანება.

ლორქას საკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ხორხე გაიღინდა უთხრა მამამისს: „ომი რომ დაიწყო და ერთადერთი ეს-პანელი რომ გადარჩეს, ეს უღლერიკო იქნება“. ის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე ინტერვიუში ამბობს:

„ოუკი რამე მაინტერესებს, ეს სიკოცხლეა. მიყვარს სეიარნობა, მხიარულება, გართობა, საათობით საუბარი მეგობრებთან. სიცოცხლე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — სავსე, კეთილი, მხიარული, ახლგაზრდული ცხოვრებით“. და კიდევ „არასოდეს არასოდეს არ დაებერდები“ — წერდა ის ხორხე გაიღინს.

1936 წლის ივლისის დახაწყისში, გრანადაში გამგზავრების წინა დღეს, ლორქამ შეიარა რედაქციაში, სადაც ხოსე ბერგამინი მუშაობდა. მეგობარი არ დახვდა, დაუტოვა ლექსების „პოტი ნიუ-იორკში“ ხელნაწერი და ბარათი „მე ისევ დაებრუნდები!“

„კველაზე სევდიანი სიხარულია — იყო პოტი. დანარჩენი არაფერი ანგარიშში ჩასაგდები არაა. სიკვდილიც კი“.